

ქრონული  
ნიგლიროთეკა

# ნოშადურნი



№ 37

ყოველკვირული ჟურნალი



№ 37

## წლიურ ხელის მომწერთ 'სააღდგომოდ მიუვათ:

- ყველა გამოსული № №-ბი წამვანდელი და წარსული წლისა.
- ილია ჭავჭავაძის დიდი სურათი (ლიტოგრაფიულად ბრისტოლის ქაღალდზე) დაბეჭდილი
- „ნიშადურის“ კრებული (პირველი და მეორე წიგნი). | წლიური ფასი 5 მან.

შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 10 აპრილს.

ვ ნ ე ბ ი ს კ ვ ი რ ა



გამოსხვება მშობელთან — ზღოკორსტის ნახატ.

იუდის ამბორი — კლემენსის ნახატი.



**ნაფიქრ-ნაგრძნობი**

ვიდრე გრძნობს გული,  
 შეუძლია ფიქრი გონებას;  
 ვიდრე არა აქვს  
 დასასრული ჩემს ზღვა ოცნებას,  
 ვიდრე ვაზროვნობ  
 და მაქვს ჭკუა შეურყეველი,  
 ვერა მძლევ, ვერა,  
 მწარე ბედო,—ვარ უძლეველი!

მე ლარიბი ვარ  
 და სხვები-კი შეძლებულები!  
 მერე რა ვუყოთ?  
 ნეტა, რით ვარ მათზე ნაკლები?  
 უფრო მეტს სჭამენ,  
 უფრო მეტსა ხომ ვერა გრძნობენ?  
 უკედ აცვიათ,  
 უკეთესად ხომ ვერ ფიქრობენ?

მე უღონო ვარ  
 და სხვები კი ლონიერები!  
 მერე ნეტავი  
 რით არიან ჩემზედ მეტები?  
 ლომი და ვეფხვიც  
 კაცზე უფრო ძლიერებია;  
 მაგრამ ისინი  
 პირუტყვები, ნადირებია!..

მე ტყვე ვარ ზრუნვის  
 და სხვები კი უზრუნველები;  
 შეუწუხებლად  
 უსრულდებათ მათ სურვილები!  
 მაგრამ განა მათს  
 მკონარება-უღარდებლობას  
 ვარჩევ ჩემ სურვილთ  
 და ნატვრათა მიუწლომლობას?..

მე მარტოკა ვარ,  
 უთვისტომო, ობოლი სული,  
 არავინ არის,  
 რომ მივენდო, გაეუხსნა გული;  
 შემომეფუანტენ  
 ნაცნობები და მეგობრები!..  
 მაგრამ სულ ჩემთან.  
 არ არიან ჩემი ფიქრები?..

უბედური ვარ!..  
 ქვეყნიური ბედნიერება  
 განა ოდნავაც  
 შეეწონვის და შეედრება  
 იმ საარაკო  
 სიამესა და ნეტარებას,

რომელიც თან სდევს  
 ციურ ცეცხლით გულის ადგნებას  
 ოჰ, არასოდეს!..  
 მაშ მოჯარდით, მწვავე ფიქრებო,  
 რომ კვლავ აღფერთოვდნე,  
 ჩვეულებრივ და ვიოცნებო;  
 კვლავ გამოვცადო  
 ღვთიურ ტანჯვის სიტკბო ნაცნობი  
 და მთელ ქვეყანას  
 ვამცნო ჩემი ნაფიქრ-ნაგრძნობი!..

დუბუ მეგრელი.

1908 წ.

**ვ ა რ დ ი**

დილით ადრე გამომეღვიძ... მიველი ჩემ პა-  
 ტარა ოთახის ფანჯარასთან, გამოვალე და სივრცი-  
 სკენ გავიხედე... მზემ თავისი ბრწყინვალე სხივები  
 მომაგება... თვალის მომპრა... ცოტა უკან დავიხიე,  
 მაგრამ ცქერა არ შემიწყვეტია...

ნაზი სხივები სასიამოვნოთ ევლებოდნენ თავ-  
 ზე ყოველ არსს, ყოველ საგანს და ზედ ისე დაჰ-  
 ფარფატობდნენ, გვეგონებოდათ შეუყვარებიათ და  
 ვარშიყვებიანო...

ჩემს ბალიდან ტურფა ბუღბუღის გაღობა  
 შემომესმა... გულმა ძგერა დაიწყო... ცოტა წინ  
 წავდექი და ძირს, ბაღში ჩავიციქირე...

ღედა-მიწას მწვანე ხავერდის ხალიჩა გადაჰფა-  
 რებოდა... ხეები ანც ფოთლებს შეემოსნათ... ისი-  
 ნი უცებ აშრიალდებოდნენ ხოლმე, როდესაც გრი-  
 ლი სიო ანაზღათ დაუბერავდა, გაელაქუცებოდა...

თვალის მოვკარი აგრეთვე ჩემს საყვარელ, მრავალ-  
 ტოტა ბუჩქნარს... ისიც მორთულიყო, მოკა-  
 ზმულიყო... ფოთლების მწვანე ფერი ვარდის სი-  
 წითლეს შეერთებოდა და ეს ორ ფეროვანება სა-  
 სიამოვნოთ გამოჰკრთოდა.. ლამაზ სუსტ იებს ერ-  
 თად მოეყარად თავი და ბუჩქის ფრთებს შეჰფარე-  
 ბოდნენ... ნამეტანი სუსტნი იყვნენ და სიოსი ეში-  
 ნოდათ... მაგრამ ირგვლივ ისეთ სურნელებას აფრ-  
 ქვევდნენ, რომ ყოველ სულ-დგმულს გრძნობის  
 დამატკობებელ ბურუსში ახვევდნენ...

სულ-წარმტაცი იყო მთელ ბუნება... სახლში-  
 გული აღარ დამიდგა... მივზრუნდი იქვე მდგომ  
 მაგიდას, ხელი წამოვავლე მასზე მდებარე საზაფ-  
 ხულო ქუდსა და ოთახს გამოვეთხოვე...

ვეწვიე ჩემს ბაღს.,.

ბუღბუღმა უეცრივ სტვენა შესწყვიტა... ალა-  
 გი შეინაცვლა... შეეშინდა ადამიანის... ბელურე-  
 ბიცი დაფთხნენ... შევწუხდი!..

ნუ თუ მტარვალ ვარ, რაღაცა თავზარდამ-  
ცემი, რომ ასე გამირბიან ეშინიანთ ჩემი ამ ტურ-  
ფა ქმნილებათ?..

გადავდგი რამდენიმე ნაბიჯი...

ერთ მშვენიერ ყვავილზე ორ შრომის მოყვა-  
რე ფუტკარს მოეკალათებინა და სიტკბოების წვეწს  
აგროვებდნენ საჭირო საგნის შესაქმნელად...

ამათ თვალი მომკრეს თუ არა, შეშინებულნი  
წამოიშალნენ და შორს საღდაც გაფრინდნენ ..  
აღამიანს გაექცნენ...

გულს ბოღმა შემოაწვა...

კვლავ ცოტა წინ წავდექ და ჩემს საყვარელ  
ბუჩქნარის პირდაპირ შევჩერდი..

მისი ვარდები მშვენივრად გაბადრულიყვნენ  
და მაყურებელს სიამეს აგრძნობინებდნენ...

ცოტა შუბლი გამეხსნა... გულს შვება მიეცა...

ერთმა ვარდმა ნამეტნავად მიიპყრო ჩემი ყუ-  
რადლება და სული წარმტაცა...

მოვინდომე მისი მოწყვეტა, წაღება სახლში  
და იქ აივანზე მდგომ სხვა ვარდის ტოტზე დამყ-  
ნობა, რომ მარად მეტკირნა მისთვის, მარად ახლო  
ყოფილიყო და დამტკბარიყავ მის მშვენიერება-  
სურნელებით... მოვინდომე უდიდესი ნაწილი ჩე-  
მის ძალღონისა მის მოვლა-მზრუნველობისათვის  
შემეწირა...

მიუხლოვდი... ხელი წავატანე... მაგრამ...  
მოვტყუედი: სიომ დაუბერა, ბუჩქი შეარხია და  
მისი ეკლები ხელს დაეტაკნენ... დამიჩხვლიტეს...  
იძულებული შევიქნე ხელი მომერიდებინა... თავი  
დამენებებინა...

სიო ჩადგა. ხელ-ახლად ვსცადე ჩემი სურვი-  
ლის განხორციელება... სიომ კვლავ დაუბერა...  
ეკალმა ისევ თავისი ჩაიდინა...

მაგრამ სასო-წარკვეთილებას არ ვეძლოდი...  
სურვილს ღრმად ჰქონდა ჩემში ფესვი გამდგარი...

კიდევ რამდენჯერ მივატანე ხელი მშვენიერ  
ვარდს, მაგრამ სამწუხაროდ ყოველთვის ერთი და  
იგივე მეორდებოდა... სიო უბერავდა, ეკალი ხელს  
სჩხვლევდა...

დაბინდდა... ირგვლივ ყველაფერს მკვდრის  
ფერი დაედო... სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა...

იქ ვეღარ გავძეღ, ჩემს სახლისაკენ გამოვს-  
წიე... გული მტკიოდა... ბაღში დამრჩა ის, რაც  
პირველად მოვიწონე, რამაც ჩემში თავისადმი გა-  
ნუზომელი თანაგრძნობა გამოიწვია...

მივდიოდი სახლში შავ-ბნელ ფიქრებით გარე-  
მოცული...

უეცრივ სახე გამეხსნა... გულს ეფონა... თა-  
ვში ჩემ აღშფოთებულ-დამწუხრებულმა აზრმა გა-  
მიელვა... ვიფიქრე:

„გუშინ ხომ უშველებელი ქარტეხილი იყო,  
დღეს კი მხოლოდ ნელი სიო უბერავს, ჩემს წინედ  
განუზომელი ყინვა-სიცივე მძვინვარებდა, სიო უბერავს  
დღეს სითბოა; ამ ერთი თვის წინედ დედა-მიწა  
თეთრ სუდარაში იყო გახვეული, ახლა კი—მწვანე  
ხავერდში... როგორც ვხედავ დედა-მიწაზე ერთ-  
ფეროვნება არ არსებობს .. ყველაფერი იცვლება,  
ყველაფერი სხვა სახეს ღებულობს...“

„არ იქნება მუღმივი არც დღევანდელი სიო,  
რომელმაც ვარდის მოწყვეტის ნება არ მომცა...  
დადგება ისეთი დღე, როდესაც სიო აღარ იქრო-  
ლებს, ჩადგება ..“

აი, მაშინ ვეწვევი ტურფა ბაღს, მივალ ჩემს  
საყვარელ ბუჩქნარს, მივესალმები უმანკოება—  
მშვენიერების შარავანდელით გარემოცულ ვარდს  
და მოვწყვეტ... გული სიამეს იგრძნობს მაშინ...  
ძარღვებში ძალა შთამედგმის, გადაეხალისდები, ვი-  
ნაიდან მიხანს მივალწვე და ჩემს კაეშნის მიზეზს მოვ-  
სპობ!“ ჩამესახა თუ არა ეს აზრი, გული მაშინვე  
დამიმშვიდდა... თვალები გამიბრწყინდნენ...

გახარებული ავედი ჩემს ოთახში და ცოტა  
დასვენების შემდეგ ძილს მივეცი თავი...

დ. ელ—შვილი.

### სული ღვთისა.

„და სული ღვთისა  
იქცეოდა ზღა წყალთა“...  
(დაბად. I, 5).

იყო ქამი საშინელი,  
დასაწყისში, დროის გარე,  
კამარაში—სივრცე ბნელი,  
უსინათლო მზე და მთვარე.  
ჯერ არ იყო მიწა მშრალი,  
არსად სჩანდა კუთხე მწვანე,  
იყო წყალი, მხოლოდ წყალი,  
მხოლოდ ზღვა და ოკეანე.  
მაშინ თურმე ჩამოჰფრინდა  
და გაჩერდა წყალთა ზედა  
სული ღვთისა, სული წმინდა,  
მან ღვთიურად იმოქმედა:  
მან ჩაუდგა მიწას სული,  
შეამკო და ააყვავა  
მან განსაზღვრა არეული  
წყალი, მიწა, ცა და ჰავა.  
ქამი ისევ შეიცვალა,  
აირია მთა და ბარი,  
ენა, რჯული, ზნე და ძილა,  
და უფლება ყოველგვარი;  
მიწა სისხლით იღებება,

ცრემლით ირწყვის ველი მწვანე,  
ერი ჰღელავს, ერი დგება,  
ჰდულს ცხოვრების ოკეანე.

და—სუ!—ეხლაც ვხედავთ ხშირად  
უცხო ნათელს, დამდგარს მახე,  
ჰკრთის და ჰღელავს, ცისა პირად  
საუცხოვო სილამაზე,  
იმედს გვაძლევს მხეებრ ისა  
და იქცევა დიდებული—  
სული წმინდა განსახდვრისა,  
განახლების წმინდა სული.

გიორგი გვაზავა.

## ლამის რაინდი

შუა-ლამე გადასულია. სოფელი მიყრუებულია.  
ჩამი-ჩუმი არსით ისმის. მხოლოდ ხან-დასმით გაის-  
მის შეცივნილი ძაღლის წკმუტუნი კვლავ სიჩუმე  
მოიცავს სოფელს. ყველა გულის ძილშია. თბილ  
ლოგინებში ხვრინავენ სოფლის მკვიდრნი.

გზაზე მოისმა ტალახის თხლასუნი. ეს ჩვენი  
მათე ბაჯიაშვილია; გვერდს უმშვენებს იორდანე  
ჩიტირეკია. ქორწილიდგან გაიხლებიან. სულხან  
ჯლიმაშვილმა ფეხშიშველიანთ მაგდანა შერთო თა-  
ვის ბიქს—ვასილას. ქორწილის ხარჯი, რაც შეე-  
ფერებოდა მისებრ გაღვარძილებულს ოჯახს, კარ-  
გი ჰქონდა. ნუნუა ხომ სანაქებო: შილდაში ნათ-  
ლიმამამ საგულის-გულოდ შეუნახა ქორწილისთვის  
თავი ღვინო. სწორედ ღვინის სიკეთის ბრალია,  
რომ ასე მალე აიბარგა გაპარტახებულს სუფრიდ-  
გან თამადა, თუმცა დიდი და სახელოვანი ბრძოლა  
გადაიხადა:—ვიდრე მზე თავზე არ დაგვათენდება,  
მე აქედგან წამსვლელი არა ვარო, ყველას ისეთს  
დღეს შეგყრით, სახლის გზა ორდღემდე ვერ გაი-  
კვლიოთო—დაიქაღნა მან.

მაგრამ ნახტომი შეეშალა, ღვინო თამადაზე  
ღონიერი გამოდგა და, თუმცა ზოგი სუფრაზე მია-  
ძინა, ზოგი სუფრას ქვეშ ძვლებისა და ნახორხლე-  
ბის მეზობლად, ბევრს კიდევ ეზოში თავის დაზია  
რებულ „ბატკნებში“ წაურევია ცხვირი,—მაგრამ  
თვით თამადასაც ხელი დაჰრია ღვინომ. როდესაც  
„ნეფე-დედოფალი“ ცალკე ოთახში შეამწყვდის  
და კარები გამოუკეტეს, თამადაც აბრძანდა და  
იკადრა გარედ გამოსვლა.

ცივმა შემოდგომის ნიავემ ცელქად შემოჰკრა  
შუბლსა და საფეთქლებში, ღვინის ძალა თვალებს  
მოაწვა და დაუბნელა; ყურებმა წივილი დაუწყეს.

ფეხებსაც თითქო სიმკვიდრე გამოლოცა და უსა-  
ხსროდ ეკეცებოდა. დაიფშვიტინა, უღელში შე-  
მული კამეჩივით. შუბლსა და ქეჩოზე მიისე-შოისვა  
ხელი და გაბედვით გადმოაბიჯა ქიშკარის გიჟი  
მოხვერვით, თავი გაიქნია და დაბარბაცდა ტორ-  
ტმანით გზის მეორე მხარეს ლობეში გაიქედა. იორ-  
დანე ჩიტირეკია რაინდულად ეცა ნათამადევ მათეს  
და ლობიდან გამოაძრო.

— ერთად წავიდეთ, ბ-ნო მათე.— მიმართა  
მათეს ზრდილობიანად.

— ოო, შენ ხარ, ჩემო იორდანე?—სიამოვნე-  
ბით იკითხა ნათამადევმა: „წავიდეთ, უფრო მხია-  
რულად ვივლით, თორემ დახე, რა უკუმი ბნელია;  
ეშმაკს არ სძინავს, ემანდ ან თხრილში ჩავცვივ-  
დებით, ან წყალში გადავიჩეხებით ბოგორიდან.“

— რა საკვირველია. სრულს ქეშმარიტებას  
ბრძანებთ.

— ბიქო-და, შე ყურუმსალო, თითქო ფხიზელ-  
სა ჰგევხარ?!

— დიახ! მე ქალების თამადობა ვიშოვე და,  
თუმცა ყველანი შევაბრუე, მე მაინც ფხიზელი  
დავრჩი. უნდა გენახა როგორ ავახუნტრუცე ქა-  
ლები!

— ჰაი, შე არამზადავ! მე კი მიკვირდა, რო-  
გორ გადმირჩა-მეთქი. თუ ჩემთან გესვაა, გაყურე-  
ბინებდი შენს თამაშას.

იორდანემ სიამოვნებით ჩაითრიკინა და მკლავ-  
ში ხელგაყრილ მათეს ბარბაცს ფეხი ააყოლა.

იორდანე ჩიტირეკია იმ სოფლის მღვდლის  
შვილი გახლავდა, ახლად გამოჩეკილი ნასწავლი,  
რომელმაც მარქსი, ენგელსი, კაუტსკი და მისთა-  
ნანი ზეპირ იცის და თუ ლაპარაკში ჩაერია სად-  
მე მარტიასავით დააყრის გაგონილს, ზერელად  
ჩახსომებულს ტერმინებს და მწერალთა სახელებს.

მისმა მამამ ოთხკლასიან სასულიერო სასწავ-  
ლებელში მიიბარა სადაც მეორე კლასამდე მისვლას  
რვა წელიწადი მოუნდა და იმდენად დაჰბნინდა სწავ-  
ლამ, რომ მთლათ მოშორება არჩია. ეხლა კი მამა  
იოანეს აწევს კისერზე და აღებულს ბექ-ტაბლისა  
და შემოსავლის ქამა-დახარჯვაში ეხმარება. სო-  
ფელში კი სოციალიზმის სიბრძნე შეაქვს და თავი-  
სი ნიჭით აკვირვებდა სოფლის ერთფეროვნებით  
დახავსებულ გოგოებს.

— ჰა, იორდანე, არ გაილია ეს ოხერი გზა?  
იკითხა ნათამადევმა: „დალახვრა ღმერთმა, ურისი  
მკვდარივით კი გაგრძელდა-და!“

— ბევრი აღარ გვიკლია; სადაც არი გამო-  
ჩნდება ჩვენი წვერცამეტა ივანეს ციხე დარბაზი!

— ჰო? მამ მივსულვართ ბიქო-და, მამაშენს  
წვერცამეტას ეძახი? არა გრცხვენია? ხა-ხა-ხა!..

— ვითომ რატომია? ვერ შევკადრებ თუ? რიხით ჰკითხა იორდანემ.

— ნწ... დასწყევლა ღმერთმა!“ პირის წკლახუნით ჩაილაპარაკა მათემ: სვავები გგისხედან ამ საოხრო მუცელში. ჰკმ! (ღირსეულს თამადას დაასლოკინა) ეს ვერანი მუცელი თუ მუდამ ფქვილის ტომარასავით არ ეტენეთ ჰკმ... როგორ შეიძლება! სასმელში ხომ... ჰკმ... უუქველად თავები უნდა ჩავიწოთ. ჰკმ... არა. ერთი მიპასუხე-და: ძალას ვინ გვატანს? რად ვაკლავთ თავს? ჰკმ... ამ ოხერსაც რავდენიც უნდა ჩავაგოროთ, ერთხელ არ იტყვის —მეყოფაო! შენც არ ...ჰკმ... მამიკვდე: გამალე-ბული ამოგჩხავის: „ჩამოყარე, ჯერ ბევრი თავისუფალი ადგილი შეშოგვებაო!“ ახია, რაც მოგვივიდეს!

— შენ, ჩემო მათე, რა გიშავს! თავაზიანად გამოეპასუხა თანამგზავრი (ჩვენი ჩიტირეკია მათეს ქალს ცოტა არა, რომ ეხობრიკება და სატრფოს მამას ეფერება—იქნება ცოლად მეღირსოს ლამაზი და მზითვიანი ეთერია) შენ გონება მაინც შეგჩა სხვები? ხა-ხა-ხა! ხი-ხი-ხი!—ჩაიკისკისა ჩიტირეკიამ:—როგორ ჰერეხივით დაჰყარე: ზოგს ჯამში ჩაეძინა, ზოგი ტახტ ქვეშ ზოგი კი... ხა-ხა-ხა!.. თვისს „ბატკნებს“ სთვლის და სუნით არჩევს... ხა-ხა-ხა!.. სხივი ხომ არ გაერთაო!..

— ხა-ხა... ჰკმ... ხა-ხა... ჰკმ... ხა!.. ბანი მისცა სლოკინით მათემ. მაშ, ბიჭი ვარ-და! ტყი-პუცაშვილები, ვის ეჯობრებიან?! ჰკმ... არ იციან, რომ ჩემთან ვერას ვახდებ—ჩემს სიყრმეს გეფრ-ცები, მარკსიც, რომელიც ჰამა-სმის მამა-მთავარია, ვერას გააწყობს შენთან, ჩემო მათე! შენთან ტოალობა ვის მისცემს ხელს?

მათემ შექება შეიფერა და კმაყოფილებით ორჯერ-სამჯერ მიაბოყინა თანამგზავრს ცხვირში და ბექებში ჩაუბრაახუნა.

თან თავგამოდებით ბრძანა: მაგას კი მართალს ამბობ, მე და ჩემმა ღმერთმა: ღვინის სმაში ვერავინ დამკრავს. ჰამისა კი რა მოგახსენო: ვერ დავიტრაბახებ,—ბევრი დამჯაბნის .. ჰკმ... კაცო, გზა ხომ არ აგვერია, რით ვერ მივედით ამდენს ხანს სახლში?

— აი მივედით კიდევ.

— ჰო?... ჰკმ... დიდება უფალს! გვეღირსა? მაშ... ჰკმ... ღამე მშვიდობისა!..

— არა, გამოგყვები სახლამდე. ჯერ მაინც არ შეძინება, ცოტა წავიმასლაათოთ თქვენსა შენ ხომ ჯერ არ დაიძინებ.

— არა, შვილონიასა! მე ვიცი, რა მუცლის გვრემაცა გაქ, ჰკმ!.. ტყუილად ჰფიქრობ—ვერას გამომდნები, გირჩევნია, მამაშენს... ჰკმ... მიხედო.

ადრე კი წამოვიდა ვახშიდან,, მაგრამ მაინც საკ-მაო გადაჰკრა და ყურის გდება უნდა... ჰკმ!

— არა, გაგაცილებთ, ნუ დამეხსოვრებით!

— დამანებე თავი!—შეუტია მათემ.—გაცი-ლებას არ ვსაჭიროებ. მეც კარგად გავაგნებ გზასა. ჰკმ... არც ისე მთვრალი ვარ.

— განა საწყენათ ღამ არ მოგახსენეთ!

— ეჰ, ნუ ჩამაცივდი მიჩმიასავით! მომშორდი, შვილო, შენი შველა საჭირო არ არის ჰკმ!..

— ჯანაბაზდის გზა გაქვს!—წაიბუტბუტა იორ-დანემ და ხელი გაუშვა. მათემ გაბედვით გასწია წინ. მაგრამ თავმა წასძლია და ცხვირით ტალახში წაერქო.

— უხ, შენი რჯული არ იყოს!—სთქვა მათემ გულნატკენად. დაებჯინა ცალ ხელს, მეორეც მიიშველია, აიწია და ახლა უკან მოსძვრა ზღართა და ჩაბნელებულს ცას გაოცებით ყურება დაუწყო. გადმოიწია,, დაებჯინა ხელებზე, სცადა ადგომა, კიდევ თხლამანი მოილო: მალე იორდანე მოეშველა და ბუნების მიერ ნაბოძარ საბჯენებზე დააყენა:

— აი, დალახვრა ღმერთმა ჩაილაპარაკა მათემ და გათუთხნული ხელით გათხუბნილი სახე უფრო გაისვარა მათემ იორდანეს დახმარება კი შეიმშენია, მაგრამ მალე თავმოყვარეობამ გონიერება დასძალა, გამოსტაცა ხელი იორდანეს და გაუწყრა:

— ჰკმ!.. ფთუ!..—თან ტალახი სახეში შეა-ფურთხა პეწენიკა ჩიტირეკიას.—„მომწყდი, კაცო, თავიდგან! სასოფლო გზაზედაც აღარ მიშვებ?

— თავშიაც ქვა გიხლია!—წაიბურტყუნა იორ-დანემ და სახლისკენ გაბრუნდა; გაჩერდა შორი-ახ-ლო და საშველად დაძახებას ელოდა.

მათე ბარბაცით, ტალახში ფართხუნით და გორაობით მილოდავდა წინ, თან სიბნელეს, ტა-ლახს და ხან თავის თავსაც ლანძღავდა და სწყევ-ლიდა დაოსდა მათე. ღვინომ უფრო ხელი დარია და ნიათი გამოუღია. უცბად ლობეს მიაწყდა. იფიქრა, ახლა კი მოვედი სახლშიო და გასძახა ცოლს:


— მართა, ჰაი, ჰკმ... მართა! კარი გამიღე! ჰკმ... ფთუ, შე ვერანო! პირი ტალახით არ გა-მომვსებია! მართა, ჰაუ... ჰკმ!.. გაიდვიძე შე ოხე-რო! ბანგი ხომ არ დაგიღვევია? ჰკმ!.. დაყრუვდი, შე თავსასიკვდილე!

— რომელი ხარ, რომ ღრიალე? რას დაყი-ლებ შუა-ღამისას, სახლის გზა ვერ გაგიგნია?— მოისმა სახლიდგან მამაკაცის ხმა.

— როგორ თუ ვინა ვარ? ჰკმ... ქმარს ველა-რა სცნობ, შე ტურის კერძო?!

— რას მიედ-მოედები, ვინ ქმარს?

აი, დალახვრა ღმერთმა! ეს... ჰკმ... თითქო



მამაკაცის ხმას ჰგავს. ჰაი, თუ იმ სამგლეშ ჰკმ... ამ სიბერის დროს კუროები გაიჩინა! ხა-ხა-ხა!.. ჰკმი!.. მე ვარ დედაკაცო, მათე! ფთუ შე ოხე-რო, — შეუკურთხა ტალახს — აკი ვერ გამოვილიე პირში! უჰ, რა ბნელა! ჰკმი!.. თვალთ არა მიჩანს რა. გააღე რალა შე მა.. — მაგრამ ამ დროს კარებ-მა გაიჭრიალა და ვიღამაც იკითხა: „ვინა ხარ?“

— მე რასა მკითხულობ? თითონ შენ ვინა ხარ?

— კაცია.

— მერე და, ბიჭო, ჩემს სახლში რა გინდა? ნუ თუ შენს მზეთუნახავს პატარძალს ჩემი დამან-კული დედაბერი ამჯობინე?

— შენ დედაბერთან რა მესაქმება? მე ჩემს სახლში ვარ.

— აი დასწყევლა წმინდა გიორგიმ? კიდევ გზა არ ამრევია?

— სახლში მოდი, მათე, შეისვენე. — შეიპა-ტიჟა მათემ.

— სახლში რა მინდა. შინ წავალ.

— მაშ, მოიცადე, ერთად წავიდეთ.

ახლა კი აღარ იუარა გაცილება ვაბეზრებულ-მა უგზო-უკვლოთ ყიალით.

კაცია შინ შებრუნდა. მოისმა სახლიდგან ფროტიალი, ნაღვერდლის ბერვა და მალე კაცია გამოჩნდა ქრახით ხელში.

— მაშ, რაკი არ დაგიშლია წავიდეთ.

— კაცო, როგორ ჩურჩხელასავით ამოვლე-ბულხარ ლაფში?

— ამ უკუმეთ ბნელს არ შეუძლიან? ფეხი გა-მისხლტა და ტალახში გავერიე.

— ბევრს დამართნია მაგისთანა შემთხვევა, ღვინო სხვა ბიჭია!

— არა, კაცო... ჰკმ..; სიმთვრალე რა შუა-შია? უცაბედი.

— რა თქმა უნდა, მჯერა! — გული გაუკეთა კაციამ.

კაცია წინ გაუძღვა მათე უკან ხვანხვალით აედევნა; ორი სამი ნაბიჯის შემდეგ წასძლია დამ-ძიმებულმა თავმა და ხირხლებში გაიჩხირა.

— უხ! შენი რჯული არ იყოს!..

კაციამ, რა დაატყო, რომ მის თანამგზავრს ფეხები აღარ ემორჩილება, ხელი მოჰკიდა და ორი-ვენი ტორტმანით გასწიეს. მათემ ახლა კი აღარ იუკადრისა დახმარება და მორჩილად მიბანცალებ-და კაციას გვერდით.

კაცია ახალი ჯვარდაწერილია მისს ცოლს, ეწიან თინას, ბევრი ახალგაზრდა ბიჭი აშტერებ-და თვალსა, ბევრი ნატრობდა მისს მარჯნის ტუ-ჩებს და ბროლის მკერდს, მაგრამ თინა თავის კა-ციას მეტს ახლო არავის იკარებდა.

იორდანეც დიდი ხანია თვალთ ~~სქმინდნ ტინას~~ და მათე ფიქრით და ტკბილი ოცნებით დასთენებდა ხშირად ლამეები.

— ახლა კი დრო გაქვს! ამისთანა შემთხვევას სხვას ვეღარ ვიშოვნე. — წაიბუტბუტა იორდანემ ქველაბუნი გრძნობით აშლილმა, როდესაც კაციას და მათეს ფეხის ხმა მისწყდა. — ვიდრე ისინი მართას გააღვიძებენ, ოჩიფეხა კიბეზე აბარბაცდებიან, კირ-ვეულს მათეს ლოგინში მოასვენებენ, მე გულის მურაზს ავისრულებ. მათე არც შეუნაყრებლად გა-მოუშვებს კაციას და შეიძლება კარგა ხანს შეუ-გვიანდეთ, ოხ, ახლა კი გავძლები შენით, ჩემო თინა!

ბინძური გრძნობით და ვნებით აკანკალებუ-ლი ლამის რაინდი ფეხ-აკრებით და გულის ფან-ცქალით გაეშურა პატარძლისაკენ. გაინაბა, სული გამელა, წელში მოირკალა. კარი გადმორაზული დახვდა. „ბედი მწყალობს!“ წაიღულუნა: დაძახება არ დამჭირდება რაზა ფრთხილად ახსნა ჩუმა გა-დააბიჯა კარის ზღურბელს სახლში სანათი არ ენ-თო. ფეხ-აკრებით, ვარაუდით გასწია იქით, საი-თაც ქალის ფშვინვა ისმოდა. მიიპარა საწოლთან და ქალს ხელი მოუცაცუნა.

— ვინ ხარ? შენ ხარ კაცია? — შეეკითხა ქალი. იორდანემ იტუნა, შიშმა თავში დაჰკრა.

— ვინ ხარ მეთქი? — შეუმალლა ქალმა ხმას.

— მე ვარ, მე, შენი სულის კირიმე, შენი ფეხთა მტვერი...

— ვინ, შენი? — შეჰკივლა შემკრთალმა ქალმა.

— ნუ ყვირი, ჩემო სულთქმა, ჩემო სამოთ-ხე! შემობრალე, შენი სიყვარულით დავიწვი...

— აქედგან გამეცალე, თორემ შამანს გადმო-გადენ თავიდან.

— ნუ გამირისხდები, ჩემო მშვენიერო, სანა-დომიანო, ჩემო ტკბილო, თინა! — იორდანე ქალს წაეტანა. — შენი კირიმე, დამნებდი, კაცია ვერას გაიგებს. ჩემი იყავ მხოლოთ ცოტა ხნით. — გაფო-თებულმა რაინდმა ქალი გულში ჩაიკრა.

— ვაიმე, მიშველეთ!.. გამიშვიი, შე ეშმაკის კერძო!.. გამიშვი-მეთქი!.. თინამ გაიბრძოლა, ხე-ლიდგან გაუსხლტა ათახთახებულს, ვნება-ყელში მოცობილს რაინდს და სილა სტკიცა. გაშრა, და-იბნა. სიცხადე მრთელი სინამდვილით თვალწინ წარმოუდგა. ჟინისგან გამოერკვა.

— სად ვარ? რას ვშვრები? ნუ თუ ღვინომ და ჟინმა ამდენად დამაბრძავა, რომ შიშის და სირ-ცხვილის გრძნობა მართლად დავკარგე? საცაა, კა-ცია მოვა და ხომ ცოცხალს არ გამიშვებს. „ვაი-მე!“ — ფიქრობდა დაბნეული რაინდი.

— კაცია, მიშველეთ! გაჰკიოდა ქალი.



— რაღა გაკივლებს შე კახა! კბილებს  
ღრჭენით წაიდუღუნა იორდანემ.

— გამზორდი! გამზორდი!—ჰყვიროდა ქალი  
და უქიმუნჯებდა.

ხახა მშრალმა, ქურდი კატასავით კუდამოძუ-  
ებულმა იორდანემ იკადრა და მოძურწა გარედ.

— უი, შე მამა... მოესმა გაგულისებულის ქა-  
ლის ყვირილი, და კარები ჯახუნით მოუკეტეს.

— ვაიმე!.. დაახრქიალა იორდანემ კბილები:  
„ქალმა გამლახა და ბალღივით გამომაგდოჲ რა  
დამემარცა! ვოიიიმე!..“

ლოყა უწიოდა, თონესავით უხურდა. სისხლი  
მარცხენა ყბას მიაწვა და გათმოსკდომას ჰლა-  
მობდა.

— სადაც არის, კაცია დაბრუნდება და თუ  
გაიგო მოსაკლავად გამომეკიდება. ფიქრობდა იგი  
და ნაბიჯს უმატა.

— „კარი, კარი“ გადმოურაზავი დამრჩა!  
შიშით და სირცხვილით გონება აბნეული  
იორდანე გაეშვა შურდულივით, თან დატყეტილს  
თვალებს უშტერებდა უკუმეთს ბნელს და ყურით  
მცირედს ხმაურობას ჰკრეფდა—კაცია ხომ არ მო-  
დისო.

მივარდა, ხელების კანკალით გადარაზა კარი.

— გადარაზე, შე ჩიტირეკიავ! რო გასკდებო-  
დე, კაციას მაინც ვეტყვი შენს უტიფრობას.—გა-  
მოსძახა ნიშნ-მოგებით ქალმა.

— ნუ, ნურაფერს ეტყვი!—და დარცხვენილი  
ღამის წყვილიაღში მიეფარა.

ანტონ დარჩიაშვილი.

გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი .

მოდის გაზაფხული და გაზაფხული  
წინა მოუძღვის მწვანით შემკული!  
აგერ მერცხალი ცქვიტი, ცოცხალი,  
ბუდეს იმზადებს შრომითა მთვრალი!  
ხარობს ქვეყანა, მშვენიდება ყანა  
და მუშა ხალხსა ეძლევა ძალა!..  
მეც მიდგას სული: გახარებული,  
იმედით სავსე, ფეთქს ჩემი გული.  
რომ ეს ზაფხული, დიდხნის ნატრული,  
აჲ გვეღირსება უბიწო, სრული!..

კონ. ნიკოლაძე.



ს ი კ ვ დ ი ლ ი და დ რ ო

(თავისუფალი თარგმანი)  
გუძღვნი ს. ნა-დიმიტროს.

ს ი კ ვ დ ი ლ ი

ყველა ჩემია: თესლიც, ნაყოფიც,  
უფლებას ჩემსას არ აქვს საზღვარი.  
თაყვანი მეცი, ბებრუცუნა დროც,—  
გყვეარ ბატონი არ შესადარი!

რასაც კი ხედავ,—ყველა ჩემია,  
რასაც კი აჩენ, ხომ ყველა კვდება!  
ყველა იხრწნება ჩემს სამარეში,—  
ამ ჩემს უფლებას რა შეედრება!?

კვალს საღლა ხედავ შენს ქმნილებათა?  
შენს ნაღვაწთაგან რა გაქვს უკვდავი?  
შენსა ნაშრომსა, შენსა ნათესა  
მე ვიმიკი, მე ვარ თავი და თავი!


საღლაა რომი, მეფენი, გმირნი,  
სად სჩანს ნაყოფი შენის ნაღვაწის?  
ყველა შთაინთქა ბრძოლისა ველზედ,—  
განისვენებენ წილთა შორის.

ყველა ჩემია: თესლიც, ნაყოფიც,  
ყველა შეადგენს ჩემს საკუთრებას;  
ქედი მოუხარ, ბებრუცუნა დროც,  
შენსა ბატონსა,—ჩემსა უფლებას!..

დ რ ო

უდასაბამო, უთავებელი  
მამაც ვარ, შვილიც—საუკუნეთა;  
შენ კი გიმონა ბედისა წერამ  
კუბოთა გახრწნის ბნელ სამარეთა.  
და სადაც არის შენი სავანე,  
შენი კუბონი სადაც ღობებთან,  
იქ ღვმართავ დროშას ბედის წერისას,—  
ძალნი ცოცხალნი მებადებთან!  
შენს საფლავთ შორის დასაბამიდგან  
მე ვიღებ ნაყოფს ჩემის შრომისას;  
შენივე კუბოს ფიცრებიდგანა  
ვაწყობ-ვაკეთებ აკვანსა ჩემსას.  
ხელთა მიპყრია უკუნთა ჯაჭვი,  
ჩემი გზაც მუდამ უღოველია,  
მე თან ვატარებ სამოსელს ღვთისას:  
უკვდავ ქედზედ და მხრებზედ მიწყვია.  
უგზოთ, უსაზღვროთ მივმდინარობ,  
როგორც განგება—ვარ გარდუვალი,  
თითონ შენცა ხარ ჩემგნით შობილი  
და მემონები,—მე ვარ უფალი!..

გ. ახალციხელი.



ეზოზე — ვალაკეცის ნახატი.

**ეზოზე** ჯანვითა და ბურუსით მოცულ წარსულში ხანდისხან ისეთი დიდებული ზიარები გამოერევიან, რომელნიც ვითარცა უზარმაზარი სხივოსანი კანდელი, დაუშრეტელად უნათებენ კაცობრიობას მრავალ საუკუნეთა განმავლობაში. ასეთი ზიარები არიან ჭობირასი, მსოფლიოს წინასწარმეტყველი, ჭეროდოტი, შექსპირი და სხვანი და მათთან ეზოზიც — ეს დიდებული და უბადლო მოშიარე და მოხრობელი იგავ-არაკებისა.

ეზოზე მეტად მცირე ცნობებია ზოდწეული ჩვენს დროში. განთქმული ისტორიკოსის და მემატიანის ჭეროდოტის ცნობით, ეზოზე სცნობდა ქრისტეს შობამდე შეექმნე საუკუნის ზირველ ნახევარში. მცირე აზიის თრეგიელთა ქალქს მესამბრიაში დაბადებული, ეზოზე აღიზარდა ძველ საბერძნეთის კულტურაში. ეზოზე მონა იყო სამთავროს მებატონეს იადმონისა, რომელმაც თურმე განთავისუფლა ეზოზე ეობიდან და თავისუფლებს მიანიჭა, მისის ჭკუა-გონებით და მახვილობით გაკვირვებული; განთავისუფლების შემდეგ ეზოზე მოგზაურობდა სხვადასხვა ქვეყნებში და, სხვათა შორის, ბაბილონში დიდი სიყვარული და ზატივი მოიპოვა ხელმწიფე დიკარის კართან, ეზოზე უშვილო იყო და ამიტომ იშვილა ვიდაც ჭაბუკი ენი (ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს სიტყვას) შვილობილმა ენმა უარგულად




„ფოდრაჩიკი“. თქვენ საითკენ?  
ძართველი მუშები. უმუშავრები ვართ.  
„ფოდრაჩიკი“. მართალია; მაგრამ თქვენ ქართველები ხართ...

ეზოზე, რომელიც კინაღამ სიკვდილით იქმნა დასჯილი, რომ ერთს კეთილს კარისკაცს არ ეშველნა ეზობისათვის. შვილობილს ეზოზემა იმით გადაუხდა, რომ ზირის ზირ კაციცხა და შეარცხვინა, ხოლო შეარცხვინა ისეთი მწვავე უფთილა, რომ ენმა ვეღარ აიტანა სინიდისის მხილებს და თავი მოიკლა.

დიდი ზატივისმცემელი იყო ეზოზესი აგრეთვე მეორე გამხენილი ხელმწიფე კრეზი, აურბეული სიმდიდრისა და შეძლების ზატონი. კრეზმა აღამაღლა და დაწინაურა ეზოზე და მალე საელჩოს სათავეში დააყენა. ეზოზე, სხვათა შორის, მეიემ დააგადა ძვირფასი სახეურების წაღება განთქმულ და ცნობილ დელთეილი მკითხვან. დელთაში ეზოზეს ენა-მახვილობამ დიდი საზოდო იპოვა: იქაურ ქურუმები ცერცვიით სტოდენ ეზოზის გესლიანი დატინვისკან. თვითონ ხაღხის შვილი, ეზოზე ვერ იტანდა, როცა ხაღხს თვალს უბრმავებდნენ და აღორბდნენ. არის თქმულება, რომ გაზარბეულ ქურუმებმა ეზოზეს ცილი დასწამეს ვითომც ეზოზესი სამდუთო და წმინდა ნივთები გაიტაცა და შეურაცხყოფილ ხაღხს დასაჯა იგი — ტარბეის კლდიდან უფსკრულს გადასროლა, თუმცა მეკე ბეგრი იხანეს და იმ ადგილს ეზოზეს ძველი აღუმართეს რქონ ქანდაკებიდანა.

ძველ მწერლებს ეზოზეს კარებობაზე, რომ ვითომც იგი მახინჯი და კუსიანი იყო, არაფერია ნათქვამი, მხოლოდ კონსტანტინობლის მონაზონი ზღანდუ-




**ვიტტორია კოლონა** — ჟულ ლეფერის ნახატი.

ნი სწერს რომ ეზობი უშნო, კუზიანი და მახინჯი სახის იყო. ამასვე მოწმობს აგრეთვე ძველი ქანდაკება ვილა-ალბანში, რომის მახლობლად.

რაც შეეხება ეზობის იგუ-არაკებს, ისინი მრავალ საუკუნეთა განმავლობაში თანდათან იცვლებოდნენ და ვინ იცის რომელი მათგანი, როგორ იქმნა გადაკეთებული და გამოცემული. ყოველ შემთხვევაში ეზობს აკუთნებენ 650 იგუ-არაკს.

ჩვენს ყურნაში მოთავსებული სურათი ეზობისა ეკუთვნის შესანიშნავს და გამოჩენილს ისპანეთის მსატვარს ვალსკეცს (დონ-დიეგო-დე-ვალსკეც-დე-სილვას) რომელიც ცხოვრობდა საშუალო საუკუნეში (დაიბადა 1599—გარდაიცვალა 1660 წელს). ვალსკეც ცნობილია მსოფლიო ხელოვნებაში როგორც უზირველესი და უკეთესი მსატვარი სურათებისა (პორტრეტისტი) ვალსკეცს ეზობი საცნარის შთაგონებით აქვს დასურათს-ტებული: გონჯი და იმავე დროს საცნარი ჭკვიანური თვალები და შინაგანი ძალა ზეგარდმოცხებული ნიჭისა.

**ვიტტორია კოლონა** ერთი დიდებული ზოეტოთაგანია იტალიისა. იშვიათად ღამაში დიდი გვარიშვილისა და ცნობილი ფაბრიციო კოლონას ქალი, ვიტტორიამ ჩინებული განათლება მიიღო. ლექსების წერა დაიწყო ახალგაზრდაობაში. ცნრამეტი წლისა მისთვისდა განთქმულს სხასალარს მარკიო დე პასკარს. თექვსმეტი



**ვასო.** სტეპკოჯან, ძალიან დაეცი?

**სტეპკო.** არა მიშავს-რა, ვასოჯან, ქვეშ „პენსია“ დამხვდა! შენ უფროხილდი—ძალიან არ დაგცენ... ხობ იცი ეხლა მარტო შენა დარჩი და უეჭველია შენც მალე მშრალ-ზე დაგსვამენ...

წლის ბუნებრივ ცვლილების შემდეგ დაქვრივდა და სასოწარკვეთილი მოღაზრანდ აღიკვეცა და მას შემდეგ სრულებით მოშორდა ცხოვრების ამბებს. მონასტერში ვიტტორია მედვრად შეუდგა რეფორმატიულ მუშაობას—კატოლიკურ ეკლესიის წესების განახლებას და ამ საქმეშიაც დიდი სახელი დაიმსახურა. მონასტერშივე უფროსი დროს მოაგველობას უწევდა თავის თანამედროვე ზოეტებს, მწერლებს, მხატვრებს, როგორც მაკადითად არიოსტოს, მიქელ ანჯელო ბუნანტოტის და სხვებს.

ვიტტორია კოლონას ზოეტური ნაწარმოებნი „რითმების“ (Rime) სახელით ზოეტ ქალის სიცოცხლეშივე იქმნა გამოცემული 1538 წელს. ვიტტორია კოლონას დაიბადა 1490 წელს და გარდაიცვალა 57 წლისა, 1547 წელს რომში. ჩვენ ყურნაში მოთავსებული მისი სურათი ეკუთვნის საფრანკეთის ცნობილს მსატვარს ვიულ ლეფერს, რომელმაც საუცხოვოდ აღბეჭდა ზოეტ ქალის იშვიათი კარგებული სიღამაზე და იმავე დროს შინაგანი სულიერი დიადობა.





### ძველის ძველთა ცხოვრებიდან დიოგენი და ალექსანდრე მაკედონელი.

ფილოსოფოსი დიოგენი ცარიელ - ტარიელი ცარიელსავე „ბოჭკაში“ იჯდა და ჩიბუხს შეექცეოდა. ალექსანდრე მაკედონელი სტუმრათ ეწვია დიოგენს. დიოგენმა თავაზიანად უთხრა:

— ყმაწვილო, მოიღე მოწყალება და მზეს ნულა მიბნელებ, აქეთ მოდექიო.

— რათა? — ჰკითხა ალექსანდრე მაკედონელმა.

— მე მინდა ვნახო მზეც ხომ არ დაგბჟყრიაო! მაკედონელმა გულიანათ გადინახარა და დიოგენს „ურადნიკობა“ უბოძა.

საფაროლლი.

### ფარნაოზ მამასახლისი

— დედავ და! ისე ავიშენდათ ოჯახი, რა-ვარც ახლა არის გაკეთებული თქვენი საქმე... ჩემს გამოზდაში, აგერ მოწიფული კაცი შევიქენი და ამისთანა დროი არ მინახავს... აგერ ორი წელიწადი გადის და ორა გროში არ მინახავს ჩემს ჯიბეში.

ვერაფერი შევიღია სწორედ ახლა მამასახლისობა; „პრავეტელსთვენი“ კიღო ჰო, მარა ამორჩეული სულ არაფერაა... „გაპრუსტიაკდა“ სულ მთლად... ამიზა მევეინდურე, მე სულ წაწყმედილმა, ქალა და ეწერი! ამიზა ვაკალი თავი!.. აი, დალახეროს წმინდა ბასილეს მადლმა მაგათი თავი და სახსენებელი!..

ახალი წეს-რიგი, სრული თანასწორობა, მშვიდობიანობა... ერთობა... და დღე არ გავა ისე, რომ ვინმე „პატიოსანი აზნაურშვილი“ — ასე უძახიან და მე რა ვიცი — არ ჩაგიჯდეს გზაში და არ წაგართვას, რაც გაბადია... თუ ვინმეს შესჩივლე, ასე გეტყვის — ეს ხულიგანები და ქანტაჟისტებიო... გახშირდა ძარცვა, გლეჯა-წეწვა-თავდასხმა და მკვლელობა... ავი ერთობა?..

ერთობა უწინ იყო: ჩამომიარდა ოზურგეთიდან პრისტავი, მიახლებდა — ვეახლებოდი, მიგვიწვევდნენ — ვეწვეოდით... ან კიდევ უთენია გაჩნდებოდნენ აკციზნები... ხან აქეთ და ხან იქით, ჩუმაღ, ნელა და ფარულად წავადგებოდით ოტკის ზაოდს... შეიქნებოდა ერთი ორომ-ტრიალი: ცემა, ტყეპა, წიკუნტალი, პროტოკოლი. . . სადამოს კი მშვენიერ სუფრას უჯექით და შინ მისვლისას ფულიც მქონდა... ცივად დედალი, კარგი საცივი, ჩხავერი

და სანთლის ოტკა, ეს იყო სოფლის ღირსეული ეხლა, ეხლა ქე ვარ აგერ ორი წელიწადი და .. ვუფშუკუნებ კოდარას...

— რა გინდა, ყაძახო, ამ იალონზე? რამ მოგიტანა! — შესძახა ფარნაოზმა კანცელარიასთან მოსულ გლეხს...

— შენი სიცოცხლე და დღეგრძელობა!..

— რავა! ამიზა მოდი ლორის გამოშობამდის!

— გაჭივრებაა, მამასახლისო, თვარა ახლა კაცი მოვა აქნაი... დევილუპე... დამექცა ოჯახი... აწი რაღაა ჩემი სიცოცხლე ..

— ო და რა იყო?

— რა იყო და გუშინ რომ ჩოხიანი რუსები ჩამოვიდა... ქე დამიკლეს უღლის ხარი, ქე გამოშკრეს ყელი...

— შერე მე რა! ჩემთან ხომ არ მოუტანიათ, რომ მოგიწონო არჩივი!..

— კი მარა, ბატონო მამასახლისო...

— არა, ახლა ვარ ბატონი... მაგი რაა, მოიცა ცოტა, მაშინ ნახავ შენ სიცოცხლეს, როცა ჩამოგვიყენებენ სათითაოდ!..

— ჩამოგვიყენებენ რავა, ღმერთი... სამართალი...

— ღმერთი თვარა, შენდა სცალია!.. ახლა გინდა სამართალი?.. დაჩუმდი და მეკაკვე... „თუ რომ შესცდი კირილეო დაჩუმდი და იტირეო!..“

— რავა თუ დაჩუმდე, ოჯახი დამიქციეს, მარჩენალი ხარი დამიკლეს და კიღო დაჩუმდე!..

— არ მოგწონს ჩემი სამართალი, არა! აწი წადი და შესჩივლე შენს კამიტეტს!.. რად გვინდა მამასახლისიო... ხომ არ გინდათ?.. აბა აწი უყარე კაკალი...

გასო ურუშაძე.

### მაგრამ მოვა დრო

კენესის ბუნება, სძინავს ცხოვრებას, აღარ მღელვარებს ზღვისა ზვირთები: მალლა ჰაერშიც, ღრუბელთა გროვას კვლავ დაუფარავს მზისა სხივები.

მაგრამ მოვა დრო, ქარი მრისხანედ დაიგუგუნებს დახვეს ღრუბელსა, და მზე ელვარე თავის სხივებით კვლავ მოთენს ნათელს ჩაგრულთ მხარესა.

მაშინ, ოჰ მაშინ დაეტკებოთ ერთად განგვეკურნება სევდისგან გული, და დამყარდება ტანჯვისა ნაცვლად: ერთობა, ძმობა და სიყვარული.

გ. ესებუა.



### ს მ ო ნ ა კ ე ნ ე ს ი

მთა და ბარი შემოსილა,  
 ღელავს მწვანედ მინდორ-ველი;  
 სუნენლებითა ავსილა  
 ნიავე მსწრაფელ მიმომსვლელი.  
 მაკრატელა მღერს, ჭიკჭიკებს,  
 ბულბული სტვენს აღმაფრენად;  
 ნაკადული მოჩუჩუხებს,  
 მოიბნევა ვერცხლის ცვრებად.  
 ტყეც უღრანი, დაბურული  
 ირხევა და იღიმება,  
 მაგრამ... მაგრამ... ჩემი გული  
 კვალად კენესის, იმდულრება:  
 იმდულრება, რადგან ხედავს  
 ბუნებისა აყვავებას  
 და სამშობლოს ტანჯვას, ვარამს,—  
 მტანჯველთაგან დამცირებას!

ი. მჭედლიშვილი.

### კეკელა და ფეფელას საშუბარი

(სცენა ჯონჯოლანთ კეკელასა და ქარქვეტანთ ფეფელას შორის)

— ახჩი ფეფელ!  
 — ინჩა კეკელ?!  
 — ქა, მძახლოჯან, რაც გავიგე მართალია?  
 — რა გავიგე, ქალო?  
 — ვითომ ერთი ახალთაობის კაცს „სოსო—  
 მეკრამიტეს“ შენი ქალისთვის „პრილოჟენიე“ გე-  
 კეთებინოს?

— რა გაეკეთებინოს?  
 — „პრილოჟენიე“!  
 — პრილოჟენიე რა არის?  
 — რა ვიცი ქა, ჩემმა ძმამ თოროზამ სთქვა,  
 რომ მუშტიდში „პრილოჟენიე“ გაეკეთებინა და  
 გაყრილები დადიოდნენ „პატრუჩკითაო“

— (გაანჩხლებული და სხაპა-სხუპით) მერე რა  
 არის, რომ გაყრილები დადიოდნენ?.. აქ საძრახისი,  
 ვგონებ, არაფერია, შენი ძმა ხომ ნამდვილი თო-  
 როზას გულდა რადა... ხლებუზანთ მარქრიტასეგ  
 ქორიკანობა უსწავლია... ჯეელი ქალი, ჯეელი  
 ვაჟი ერთად გაყრილები დაივლიან და გაისეირნებენ  
 კიდეც... არა, ერთი მითხარი, მაშ არ უნდა და-  
 ხოვდნენ?.. სახლში ხომ კომბოსტოს წნილივით  
 არ დამჟავდებიან?! ხომ იცი რომ ეხლა მაქანკლო-  
 ბის მოდნა წავიდა... ეხლა ქალები თითონ ირჩე-  
 ვენ საქმროებს— და საქმესაც ირიგებენ! (სიცილით)  
 მერე, კეკელო, რომ იცოდე რა კარგებს იგდებენ

და!.. თუ მოდნა ასეთია, ჩემი ქალისთვისაც მოდ-  
 ნა უნდა იყოს თუ არა! მერე ამ ოხერ დროში გე-  
 ნა არ იცი, კეკელო, რომ ვაჟები აღარ... შრობენ...  
 დაწყდნენ... დაწყვიტეს... ზოგს აღრჩობენ, ზოგს  
 ზვრეტამენ, ზოგს ცივ-ქვეყნებში გზავნიან, ზოგს  
 ხალდათად წაასხეს... ამასობაში კი ქალები გაუთ-  
 სოვრად რჩებიან!... ისინიც აღამიანები არიან თუ  
 არა! ვა, მოთმენასაც დასასრული აქვს... ესეთ მარ-  
 ტობას ვინ გაუძლებს... მოქარბებულ სისხლს  
 ეჭმრები? (ყურში რაღაცას უჩურჩულებს) მაშ ქა...  
 მე რომ მაგოტოლა ვიყავი სულ ყვიცივით ვხტუ-  
 ნამდი... მაშ! ნეტა ის დროც მოვიდეს რომ თითო  
 კაცს სამი ან ოთხი ცოლის ყოლა შეეძლოს! ქაა,  
 რა სირცხვილია... აი ეხლა ამბობენ ოსმალოსთან  
 ომი იქნებაო... ნეტა ღვთისით მალე დაიწყოს...  
 იმათ რჯულით თითო ვაჟკაცს თუნდა ათი და მე-  
 ტი ცოლიც შეუძლიან იყოლიოს...

გრი—ი.

### რ ი შ რ ა შ ი.

მთვარე ჩავიდა ცას ვარსკვლავები  
 ტურფათ ამკობენ და ქათქათებენ;  
 ირგვლივ შიდამოს მათი სხივები  
 უაღერსებენ და ახარებენ...

უკვე არ ისმის ფრინველთა სტვენა,  
 სადღაც წღვდიადში მიყურებულან...  
 ღამის ცხოვლებით აღვსილა ველი  
 წყვდიად სიბნელით გახარებულან...  
 ღამე იღევა... აგერ რიჟრაჟობს...  
 მიძინებულნი იშმუშნებიან...  
 ბნელეთის შვილნი მზისა სხივებსა  
 ვერ გაუძლებენ და გაჰქრებიან!

შალვა ჩიხელი.

## შთაბეჭდილებანი

„აზროვნების დინჯი მანქანა“ თუ აღამიანი?

რღენის შიშით გვაქვს ძრწოლა,  
 ლაფშიგან ჩაწოლა  
 რა დროსი იყო?

დ. გურამიშვილი.

### II

ღმერთო, გნებავს ყოველი მეგობარი მტრათ  
 მიქციე, ოღონდ მეგობარსაც კი ნუ მომცემ რო-  
 მელზედაც შეიძლებოდეს ითქვას „აზროვნების დინ-  
 ჯი მანქანას“. ნუ გამოიმეტებ ჩემთვის ასეთს  
 ნივთს—მანც ბევრია ქვეყნათ მისი მათხოვარი. მან-  
 ქანა, უფალო, ხომ არ დაეძებს არც დროს, არც



ადგილს: ერთხელვე თუ მოწყობილია, რომ ხერხოს, გამოწვას, აილოს თუ შეკეროს, მუდამ ხერხავს, წვავს, ღებს და კერავს; სულერთია მისთვის იხერხება ადამიანის კისერი, იწვის თოთო ბავშვი, იღებს ოქროს, კერავს საქორწილო კაბას, თუ შეშას, შავ ქვის, ვირის ტყავს ან სულარას ამზადებს.

შენ, უფალო, არაფერი გაგიჩენია ასეთი საშინელი. მხოლოდ ადამიანს, შენს ხერხიან მიმბაძავს, შეეძლო თავის მონათ ასეთი საშინელება გამოეგონა.

შენგან ქმნილი არსება უმრავლეს შემთხვევაში ყოველ ფეხის გადადგმაზე ფიქრობს და აზროვნებს. ადამიანი ხომ მეფეა ამა ქვეყნისა და მას მართლაც არ შეუძლიან, თუ განგებ არ დაიმხინჯებს თავს, ყოველთვის ერთ და იმავე მოვლენას ერთი და იგივე პასუხი გასცეს.

მაგრამ გადავიდა, უფალო, ზოგიერთი შემოქმედის კანონს და გადააკეთა თავისი თავი მანქანათ.

ბევრისას ვერ მოგახსენებ, მაგრამ ერთი მათგანი მე მატანს ძალას „მანქანად“ გავხდე, და, რადგან მე არ მინდა ასეთი გადასხვაფერება, მოეხმარე, უფალო, მასვე და გადაქმენ მანქანად, ადამიანად უსათუოდ არ ვარგებულა.

ზოგიერთი ნიშნები უკვე ამჩნევია. თუ ერთხელვე წაიკითხა საღმე, რომ ამა და ამ მწერალს „იერიში მიუტანია“ მეორეხეო, მერმე, თუ გინდ მირონის საცხებლათ მიუახლოვდი, მოწიწებით თავი დაუკარ და მოწყალება სთხოვე, მაინც მოგაძახებს „იერიში მოაქვსო“.

უფალო, შენი შვილი, ქვეყნად რომ იყო თავის დიდებულ სწავლას ქადაგებდა, მაგრამ დროს შეურჩევდა, ეს დალოცვილი კი მუდამ ქადაგებს შენი ძის ძლიერებას და ისე უღაზათოდ ურევს დავით კლდიაშვილის იუმორში, რომ ცუდათ ახსენებინებს მსმენელს თვით სწავლა-მოძღვრებას შენი პირმო შვილისას.

„კაცთა შორის სათნოებაო“ ბძანა ძემ, მაგრამ ამ სათნოებას არ დაუშლია მისთვის იერუსალიმიდან გამოედენა ყოველი ვაჭარი: ტაძარში არ უნდა ჰქონდეს ადგილი ვაჭრობასაო.

ჩვენი პატარა ქვეყანა ჩვენთვის იგივე ტაძარია. შემინდვე, უფალო, თუ ასეთი შედარებით შეურაცხავ. ამ ტაძარში ეხლა ჩვენვე, ძველ მლოცველებს ადგილს აღარ გვაძლევინ — გვდევნიან უფალო.

შეიძლება ამ დროს ტაძარში კიდევ სხვა ხალხის მორეკა?

უფალო, ნუ თუ შენს მოწყალე გულს აღარ ესმის რა განსხვავებაა ამ „ჩვენთა“ და „უცხოთა“

შორის? განა შენ არ იყავ, რომ მოქმედებდა წაულებრივ სხვა და სხვა ენის ცენა „მანქანა“ მაშ, ჩვენ ქვეყანაში რატომ უნდა სასწაულებრივ მოისპოს ერთი ენა მეორეს სასარგებლოდ?

ისპობა კი, უფალო, არა თუ ენა, მთელი ერი. ჩვენს ტაძარში ვეღარ დაინახავ ქართულ ზედ წარწერებს, მლოცველები უცხო ენას ლაპარაკობენ, ტაძარში ჩვენი წმინდანების მაგიერ შემოიღეს უცხოთა ხატები. ამასაც ვითმენდიო, უფალო, მაგრამ ეხლა და ეხლა ჩვენც გვაიძულებენ აღარ ვილაპარაკოთ მშობლიურ ენაზე და გვაიძულებენ თავიანთ ვსცეთ უცხო ხატებს, მხოლოდ ჩვენს მღვდლებს ნება აქვთ დრო გამოშვებით ორიოდ სიტყვა წარმოთქვან იმ ენით, რომელიც ნებავთ. ჩვენი მღვდლების უმრავლესობა ან უცხო ენით გვიქადაგებს ან და გვეუბნება:

კაცთა შორის სათნოებაო.

უფალო, არ ვართ წინააღმდეგნი კაცთა შორის სათნოებისა, მაგრამ აქ ვინ არღვევს სათნოებას?

ჩვენ გვინდა ჩვენ ტაძარში, რომელიც მხოლოდ დრო გამოშვებით ჩვენ ხელში ვარდება ჩვენებურად იყოს ლოცვა. ჩვენი გონება-კოჭლი ხუცები კი გვიძახიან:

კაცთა შორის სათნოებაო.

უფალო, ეს მანქანის პასუხია და არა ადამიანის. იფ ფასიან არღანს აქვს მხოლოდ წინადვე გამზადებული ერთი და იგივე ხმა და, როცა ბორბალს გადაატრიალებ, ყოველთვის ერთი და იგივეს დააწრიპინებს, ქორწილია თუ ტირილი.

უფალო, რაც უნდა იყო შენ: ქვემარტივება, მშვენიერება თუ სიკეთე, შენ იყავ ჩემი მსაჯული, ოღონდ მიხსენ „აზროვნების დინჯი მანქანისაგან“\*) და მოგვმადლე ჩვენ მოაზროვნე ადამიანები.

6. ლორთქიფანიძე.

\*) წინააღმდეგ შემთხვევაში ჯერ სრულიად გამოგყრიან ჩვენ ტაძრიდან; უტაძროთ დარჩენილნი გავველურდებით; და ამ ნაჭირნახულევს ტაძარს ვერ მოუარს უცხო პირი—ყვავ-ყორანი დაბუდდება იქ, სადაც ერთხელ ისმოდა უფლის ქებათა-ქება.

ვინც ერთი წლით „ნიშადურს“ გაიწერავს, ყველას უფასოთ გავგზავნებათ „ნიშადურის კრებული“ დი აგრეთვე ი. ჭავჭავაძის დიდი სურათი ლიტოგრაფიაში დაბეჭდილი და ყველა ძველი №16-იც.

იყიდება წარსული წლის „ნიშადურის“ სრული კომპლექტი სუფთად დაკაზმულ ყდაში. ფასი 2 მან. წერ. კით. საზ. წიბნ. მაღ.



\* \* \*

მეც მეყოფა, თქვენც გეყოფათ,  
რაც ვითხარით ლექსია!  
თორემ ბატონს ეწყინება...  
კბილი გაულესია!

რა გამოდის მაინც ლექსით  
და ლამაზი სიტყვებით?—  
არაფერი რიგდება,  
სულ უბრალოდ ვბრწყვდებით!..

რაც ჩვენ სიტყვა დავხარჯეთ—  
საქმე რომ ყოფილიყო!?  
მამალიც ხომ იძახის:—  
ყიცილიყო და ყიცილიყო!.

მაგრამ ამ ყიცილიყოთი,  
თქვენ გგონიათ—თენდება?..  
ვინც ასე სჯის,—ნათელი  
მალე დაუბნელდება!

თომა პუსა.

**მადნის მუშა.**

მთელი დღე მადარობებში  
ვმუშაობ წელში მოხრილი;  
წაკატით განყავს „შტრინკები“  
ნიჩაბით მომაქვს მოჭრილი!

თხუნელასავით მიწას ქვეშ  
დავძვრები, ვეძებ შავ-ქვასა;  
სიცოცხლე ბეწვზედ ჰკილია,  
მაგრამ არ ვსტირი ჩემს თავსა!

მხოლოდ ის მაკრთობს ხანდისხან,  
როცა ლომს გავკრავ კედელსა;  
კოლმეილი ოხრათ რომ დამრჩეს  
ვინ აქმევს მშივრებ-ტიტვლებსა!

და გული შემიღონდება  
ლომს ვაგდებ, გარეთ მოვრბივარ;  
ხარბათ ვეწაფვი ცივს ჰაერს,  
დაღონებული დავდივარ!

ზიზლით და შურით შევეყურებ  
ღიბიან ჩემსა აღასა;  
რომელიც გროშათ აფასებს  
ამ ჯოჯოხეთურ ჯაფასა!

სიბრაზით—გული მიკვდება,  
როს უკვირდები ცხოვრებას,—  
თუ როგორ ხარბად ცდილობენ  
ბეჩავი მუშის გაყვლეფას!

ის კაცათ არვის მიაჩნის

სხვის მონა იარაღია,—

ქუჩაში გამოისვრიან  
თუ ბატონს აღარ არგია!

ასე ყველასგან დევნილი  
სადმე ქუჩაში დაღვეს სულს!  
მიწასაც არვინ მიაყრის  
იმის დაკაწრულ ტანჯულ გულს  
შავბედს რომ გავითვალსწინებ  
გული მევესება ბრაზითა;  
ისევე ჯურღმულში ვბრუნდები,  
ვმუშაობ ნიჩაბ-ბართითა!

და ისევე წელში მოხრილი  
განვაგრძნობ „ნშტრინკის“ ვაკრასა;  
რომ მით კოლმეილი ვაკვებო  
ნარმა უყიდო მამასა!

ტ. მეგლაძე.

**პროვინცია.**

**მოკლედ და სხლარბად.**

**შაირები გორის ავ-კარგზე.**

საბრალო გორის უეზღი  
საცოდავად გადირია!..  
ქკვიანი და უმეცარი  
დომხალივით აირია:

ვინცა ლუქმა გაიჩინა,  
სხვებს ლალატი შეამჩნია  
წინედ შუბლი მაინც ჰქონდა  
ეხლა არც ეს გააჩნია.

სინიღისი გასცვეთიათ,  
ფერს იცვლიან ათჯერ დღეში,  
ჯელის ფათური იციან  
სხვის გულსა და სხვის ჯიბეში!  
ინდენ ბრძენსა ვერ ნახავდით  
საბერძნეთის ათინაში  
რავდენიცა ჰკუას ჩემობს  
ამ ჩვენს გორის ხაზინაში...

უცილობლად დაუნახავთ  
პრანქვა, გრეხა, დიდკაცობა  
მელნის ტბაში ამოსვრილან,  
შიგ ჩაუფლავთ ტვინი, გრძნობა.



ლანჩხუთი

(პასუხად „ხიციხის“).

ქუცი, ქუცი, მოლაქუცვე, მოწიარე მურიავ,  
 კარვად გიცნობ ლანჩხუთისა მყეფარა და ფინიავ!  
 მუშის სახე რომ არ მოგწონს, ეგ რა ვასაკვირია,  
 თვით შენ რა ხარ, კუდამელავ, გაგიმურავს პირია.  
 „პროპაგანდა“ ქალთა შორის დიახ ხელსაყრელია—  
 მსუნაგი და კუდა-ბზიკა „ტკბილ დუმისა“ მხრელია!  
 პარტიაში ის მიიღეთ, ვინც „შეგიწყოთ“ ხელია,  
 ეს ქამანდი, ეს „ტაქტიკა“ ფონზე გასასვლელია!..  
 მე თუ ესდები ვიყავი, აწ ვიცვალე ფერია,  
 ეს იმიტომ, რომ არ მინდა ვიყო ხალხის მტერია.  
 თქვენ კი დღესაც, როგორც წინად მარქს-ენგელ-  
 სის წყალობით  
 ბეჩავ ხალხის უგნურებით „გასუქებს“ ლამობდით  
 თუ რამ მაქვს და გამაჩნია მიშოვნია ოფლითა,  
 თქვენ კი სხვისას ეტანებით, დროს ატარებთ ცოდ-  
 ვითა  
 ვიცი ეხლაც ხშირად ხმარობთ ძველ და ნაცად  
 ხრიკებსა:  
 გლახს ატყუებთ, რომ ემალვით მთავრობას და  
 „შტიკებსა“...  
 თავს ასაღებთ დევილ პირათ, ყველას შველას  
 ავალებთ,  
 ხაჭა-პურებს ბლომად სინსლავთ, ღვინით ყელებს  
 ასველებთ...

გურული მჭედელი.

ხონი.

(უფერადო სურათები).

სოლოვიოვისთვის ბრძოლაში  
 ცოტას კი ვამჩნევთ საძრახსა;  
 (თუ ამით არ გავაჯავრებთ  
 პედოგოგიურ „სოსტავსა“).  
 პედაგოგიურ საბჭოში  
 ცუდია ხოლმე დიდგული,  
 რომელმაც უღირსს თვისიანს  
 არგუნოს დარბის ფული.  
 მუშაკთ მოღვაწეთ ლანძღვაში  
 უზნეობაა ბრიყული  
 მაშ რა ქნას ხონელ ესდემბა  
 როგორ აიღოს თვის ფული!  
 აქაურ დანტიტებშიაც  
 გაჩნდა მრავალი კილია,  
 სამ თვესაც კი ვერ „დაპლომბეს“  
 ერთი ფულურო კბილია...  
 ხონისა მეეტლებშიაც  
 ვერ პოვებთ ვერ-რას საქებსა  
 „კურჩებად“ სხვაგან სად პოვებთ  
 ციდა ტკაველა ბავშვებსა?

აბდა-უბდის ბანაკშიც  
 ბევრს იპოვით ქკუით ბნელსა,  
 თუ არ ეწვის რა აშარებს  
 იმ საცოდავ ზომლეთელსა?  
 არსებობის ბრძოლის გზაზე  
 პპოვებთ მრავალ-რამ სახსარსა,  
 მაგალითი თუ კი გნებავთ,  
 დახეთ „ეშმაკის მათრახსა“.

ნებონიძე.

ანავა.

ხოტბა-შესხმა

აქაურს მწერალს ვერ იცნობთ  
 დიდ გაიძვერა მელასა;  
 იმ საზიზღარმა ფარულად  
 ტყავი გააძრო ყველასა.  
 გლახი თუ ხელში ჩაიგდო  
 არა სჯერდება მცირე ქრთამს;  
 სადილად დააკვლევინებს  
 მსუქან ინდოურს და ქათამს.  
 არავის ინდობს, ჯაშუშობს  
 პეტრესაც გადაამეტა;  
 ფეხებს ულოკავს ესდევებს  
 და სწყალობს წვერებ ცამეტა.

ნარი.

გ ა მ ო ც ა ნ ა

დაბა-დანჩხუთის ვაჭრათ ზრის კუდა-მელა გაიძვერა  
 „ესდევების“ ზარტიაში სუთ წელს თავი ჩაიწერა.  
 „ესფერების“ გინებთა ეგველას ეური გაუტენა  
 აზნაირის ერთგულობით ჯიბე მავრათ დაიტენა.  
 ესლა ჯღარც „ესდევია“—გაუშინჯა ხაღხმა კბილი,  
 დღეს კი სულ სხვა წინგზე მღერის რეაქციის მკვიდრი  
 შვილი.

კოდალი.



### ჩემი მისწრაფება

სულით და გულით მსურს და ვესწრაფვი,  
რომ აღმოიფხვრას უსამართლობა;  
რომ განიდევნოს ამა ქვეყნიდან  
კაცთ-მოძულობა, შური და მტრობა.

სულით და გულით მსურს და ვესწრაფვი,  
რომ სამართალი ქვეყნად მეფობდეს;  
და რომ არც ერთი ადამიანი  
სიმართლის თქმისთვის არ ისჯებოდეს.

სულით და გულით მსურს და ვესწრაფვი,  
რომ ჩაგრულთ ასცდეს ტანჯვა-წამება!  
და ადამიანთა შორის გამეფდეს  
ძმობა-ერთობა თავისუფლება.

სულით და გულით მსურს და ვესწრაფვი,  
რომ „ვილი“ მშობელს, ძმა—ძმას ინდობდეს;  
და თვისი ქვეყნის ერისგულისთვის  
საკეთილდღეოდ მედგრათ შრომობდეს.

...მსურს ეს ყოველი... სულით, გულით  
მსურს!—

ეს არის ჩემი დღეს მისწრაფება,  
ქვეყნის სიკეთის დღეგრძელობისთვის  
ნორჩი სიცოცხლეც არ მენადვლება!

...თუ ამ ჩემს სურვილს მე ვუღალატო:—

მაშვრალთ და ჩაგრულთ არ მოვესარჩლო,  
დავგმო ერთობა, განვიკიცხო მოძმე,  
და ან უარ-ვეყო, დედა სამშობლო,—

მაშინ ჯვარ მაცვით, შეუბრალებლად  
მტანჯეთ, მაწამეთ, ჩამქოლეთ ქვითა;  
და ჩემი ლეში ძაღლებს გადუგდეთ  
მომიხსენიეთ წყევლა-კრულვითა!

ლადო გე—რი

### სამშობლოვ

აოხრებულო ტანჯულო მხარევ!  
როს გაგიღიმებს ცა და ბუნება?!  
ან გაზაფხული როს აგაყვავებს  
და მზისა შუქი მოგეფინება!?

\* \* \*

როდის იქნება—მწვანე მთა-ბარში  
დამდერს, დაუსტვენს ტბილად ბუღბუღი,  
რომ მის სტვენაში აღარ ისმოდეს  
კენესა-გოდება შეერთებული?

შალვა ჩიხელი.

**სიმართლის აღდგენა.** ბ-ნო რედაქტორო! რადგანაც  
გაზ. „აზრმა“ და „დასაწყისმა“ ჩვენი თხოვნა, ამ წლის  
ოთხი მარტიდან, დასტოვეს „ხმათ მლაღადებლისა უდაბნო-  
სა შინა“, ამიტომ ბთხოვთ: სტუმართ მოყვარეობა გაუ-  
წიოთ ჩვენს მცირედს შენიშვნასა და დაბვიბეცლოთ იგი.

გაზ. „აზრის“ მე 20 №-ში სოხუმიდან მოთავსებულ  
კორესპონდენციაში, სხვათა შორის, ზრახიანი კრიტიკაა,  
ათ თებერვალს სტენის მოყვარეთა მიერ გამართულს წარმო-  
დგენის შესახებ.

ბევრს არ გავაჭიანურებთ და მოკლედ აღვნიშნავთ  
„აღსანიშნავს“.

მოთამაშენი „მიუღგომლად“ და „ღირსეულად“ დაფა-  
სებულისა. მაგრამ... მაგარიც ის არი, რომ რეცენზიაში  
ორი მოთამაშე პირი, რალაც „მიზეზისა“ გემო, ბამოტოვე-  
ბულია. ერთს „დავიწყებულს“ ქ-ნ კ. კ—სას, იმ „ორი“—  
„სამის“ ნაკლებათ არ შეუტრულებია თავისი როლი, მაგ-  
რამ... მაგრამ ეს ჩვენ „პროგრამაში“ არ შედის. მეორე ბა-  
მოტოვებული მოთამაშე გახლავს თვით კორესპონდენტი  
(რასაკვირველია, თავის „ტალანტზე“ ეჭვი არ ექმნებოდა!..) და  
ამიტომაც, რეცენზიის „შესამებლად“, არ შეგვიძლიან  
არ აღვნიშნოთ, რომ ბ-ნმა ილარიან მბელაქემ (კორესპონ-  
დენტი) „სოსიკოს“ როლში წარმოადგინა ტიპი, უფრო სა-  
დალაქას ბიტი-მოსამსახურისა, ვადრე ახალბაზდასი,—მე-  
შვიდე კლასის მოწაფისა...


ერთი სიტყვით, როგორც ჩვენ „კარგები“ ვიყავით  
თავიანთ როლებში, აბრეთვე ი. მგელაძე (კორესპონდ.),  
უფრო „მშვენიერი“ იყო თავის როლში.

დასასრულ, ამითვე ვაცხადებთ, რომ შემდეგში ყოვე-  
ლივე „კამათსა“ ვსპობთ ამ საგნის შესახებ—მიუღგომელ  
და გულწრფელ რეცენზენტთან.

ამხ. მონღობ. ერთი „გაკრიტიკებულთავანი“.

„ნიშაღურის“ 30 №-ში ბ-ნი მერკური ყოველად უსა-  
ფუძვლოთ ეხება ჩემს სიპატიოსნეს და მიგონებს ათას გვარ  
ჭორებს. მე ის რამდენჯერმე გამოვიწვიე სამედიატორო სა-  
მართლოში, მაგრამ ის სხვადასხვა ხრიკებით უხსლტება სა-  
მართლიან მსჯავრს. ეხლა უკანასკნელათ ვაცხოვინებ ბ-ნ  
მერკურის, რომ თუ ის მე და ჩემს მედიატორებს, აგრეთვე  
ვმ მუშას, რომელთაც ჩემთან ერთათ გამოვიწვიე ჩემსავე  
საქმის გამო სამართალში, უნდობლობას გვიცხადებს და არ  
სურს ჩამოვიდეს სადგურ ტატლუში სადაც ჩვენ ვიმყოფებით,  
ჩვენც ჩვენის მხრივ ვერ ვენდობით მას და ვერ ვეწვევით მის  
„სამფლობელოში“; თუ მაინცა და მაინც იმდენს „სიმხნევეს“  
მოიკრფეს, რომ გამომბყვება სამართალში მიუხედავათ „ტე-  
რიტორიისა“, ჩვენ ყოველთვის მზათა ვართ ბაუმასპინძლდეთ  
მას სიმართლით. ამის შემდეგ კი ვსპობთ მასთან ყოველ  
გვარ კამათს, ვინაიდან ამისთვის არც დრო გვაქს არც ხა-  
ლისი და გაზეთის ფურცლებიც გვეშურება „მერკურთან“  
საკამათოთ.

ანტონ ტყემალაძე.



ბრძოლის მზადებაში




იარაღის ტარებას ადრე დასწავლია.

### ისევ მარტო ვარ...

ისევ მარტო ვარ არვინ მყავს ახლოს,  
 ძმურს თანაგრძობას თხოულობს გული!  
 სისხლი აჩქეფდა, ვითა მდინარე,  
 მოძრაობასა დანატრებული,  
 სად, ვის მივმართო ან ვის მივანდო,  
 გაფუზიარო გულის ნადები?  
 ირგვლივ სიფლიდე, თავის სიმდაბლე,  
 პათიოსნება ნაავადები.  
 მსურს ვამცნო მოყვასს, ანუ მეგობარს  
 ჩემი ფიქრები და კმუნვარება,  
 მაგრამ... ვერ ვბედავ! არც თუ მიზიდავს  
 მათი ქლესობა და ანგარება.  
 სადღაა იგი, ვისაც მე ვეძებ  
 სად ვპოვო კაცი, ძმისთვის ერთგული?  
 ოჰ, რა მწარეა მისი შეგნება,  
 რომ არ არსებობს არც ერთეული!  
 ამდენს უთვალავს, ურიცხვს ზღვა-ხალხში  
 ნუ თუ ვერ ვპოვებ თანამოაზრეს?  
 საშინელია როს ობლათა ხარ...  
 მარტოობაში სული ამოგხდეს!..

დემნა მროველი.



ქამელანები მწერლობაში და ხელაფნებაში.

რედ.-გამომცემელი ვალერიან გუნია.